მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

სამშენებლო ხელშეკრულებები - თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიას მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვალეობის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა (ქ. ვანი)	დაუმთავრებელი მშენებლობა (გარეუი ვანში)	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სამშენებლო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	აქტ. გამოყენების უფლებით	სულ
01 იანვარი 2021	14,000	9,138	389,666	73,058	-	6,374,797	-	6,860,659
შემოსვლა	-	170,071	1,203,333	189,861	129,460	5,474,102	-	7,166,827
გასვლა/ კორექტირება	-	-	(38,138)	(154,977)	-	(42,000)	-	(235,115)
31 დეკემბერი 2021	14,000	179,209	1,554,861	107,942	129,460	11,806,899	-	13,792,371
შემოსვლა	-	272,537	93,574	112,792	-	1,925,444	117,686	2,522,033
შიდა მოძრაობა	-	-	-	129,460	(129,460)	-	-	-
გასვლა/ კორექტირება	-	-	(38,115)	(162,319)	-	(648,333)	-	(848,767)
31 დეკემბერი 2022	14,000	451,746	1,610,320	187,875	-	13,084,010	117,686	15,465,637
დაგროვილი ცვეთა								
01 იანვარი 2021	-	-	71,436	16,619	-	932,702	-	1,020,757
პერიოდის ცვეთა	-	-	265,599	22,944	22,244	487,056	-	797,843
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	337,035	39,563	22,244	1,419,758	-	1,818,600
პერიოდის ცვეთა	-	-	120,002	31,674	17,524	1,369,177	2,124	1,540,501
შიდა მოძრაობა	-	-	-	39,768	(39,768)	-	-	-
გასვლა	-	-	(18,151)	(97,853)	-	(37,327)	-	(153,331)
31 დეკემბერი 2022	-	-	438,886	13,152	-	2,751,608	2,124	3,205,770
საბალანსო ღირებულება								
01 იანვარი 2021	14,000	9,138	318,230	56,439	-	5,442,095	-	5,839,902
31 დეკემბერი 2021	14,000	179,209	1,217,826	68,379	107,216	10,387,141	-	11,973,771
31 დეკემბერი 2022	14,000	451,746	1,171,434	174,723	-	10,332,402	115,562	12,259,867

კომპანიას საბანკო სესხის უზრუნველყოფის მიზნით ძირითადი საშუალებების მუხლიდან რეგისტრირებულია გირავნობა სატრანსპორტო

საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის ჯგუფიდან 2,105,596 (2021 – 1,652,100) ლარის ნეტო საბალანსო ღირებულების ქონებაზე 31.12.2022-ის მდგომარეობით. უფლებრივი შეზღუდვა არ არსებობს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

5. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა (საცხოვრებელი სახლი დიდილოში და ბინა ვანში 19,070)	9468 კვ.მ. ფართობის მქონე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ზაჰესში, ქ. თბილისი	988 კვ.მ ფართობის მქონე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დიდილოში მასივში, ქ. თბილისი	კორპუსის მშენებლობა 988 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მშენებლობა	სულ
01 იანვარი 2021	1,649,770	674,600	197,000	901,998	3,423,368
შემოსვლა	-	-	-	426,599	426,599
გასვლა/ კორექტირება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	1,649,770	674,600	197,000	1,328,597	3,849,967
შემოსვლა	-	-	-	288,304	288,304
გასვლა/ კორექტირება	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,649,770	674,600	197,000	1,616,901	4,138,271
დაგროვილი ცვეთა					
01 იანვარი 2021	59,052	-	-	-	59,052
პერიოდის ცვეთა	59,052	-	-	-	59,052
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	118,104	-	-	-	118,104
პერიოდის ცვეთა	59,052	-	-	-	59,052
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	177,156	-	-	-	177,156
წმინდა საბალანსო ღირებულება					
01 იანვარი 2021	1,590,718	674,600	197,000	901,998	3,364,316
31 დეკემბერი 2021	1,531,666	674,600	197,000	1,328,597	3,731,863
31 დეკემბერი 2022	1,472,614	674,600	197,000	1,616,901	3,961,115

კომპანიას საბანკო სესხის უზრუნველყოფის მიზნით საინვესტიციო ქონებიდან იპოთეკით აქვს დატვირთული 3,286,515 (2021 – 3,057,263) ლარის ნეტო საბალანსო ღირებულების ქონება 31.12.2022-ის მდგომარეობით. უფლებრივი შეზღუდვა არ არსებობს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

6. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასაწყობე პროგრამა	ინერტული მასალების ლიცენზია	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 01.01.2021-ის მდგომარეობით	700	-	700
შემოსავლა	-	35,000	35,000
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით	700	35,000	35,700
შემოსავლა	1,070	26,894	27,964
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	1,770	61,894	63,664
აკუმულირებული ამორტიზაცია			
ნაშთი 01.01.2021-ის მდგომარეობით	-	-	-
ამორტიზაცია (მოპოვება)	-	7,005	7,005
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით	-	7,005	7,005
ამორტიზაცია (მოპოვება)	-	1,967	1,967
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	-	8,972	8,972
ნეტო საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 01.01.2021-ის მდგომარეობით	700	-	700
ნაშთი 31.12.2021-ის მდგომარეობით	700	27,995	28,695
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	26,697	27,995	54,692

7. სხვა გრძელვადიანი მოთხოვნა

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი მოთხოვნა	4,507,648	2,718,847
გრძელვადიანი მოთხოვნის გაუფასურება	(2,350,000)	(2,350,000)
სულ გრძელვადიანი მოთხოვნა	2,157,648	368,847

გრძელვადიანი მოთხოვნა წარმოადგენს შესრულებული სამშენებლო კონტრაქტებიდან 5% საგარანტიო მომსახურების მიზნით დაკავებული თანხის გრძელვადიან ნაწილს 1,733,608 ლარის ღირებულებით და 1 საწარმოს წინაშე არსებულ მოთხოვნას. აღნიშნული საწარმოს მიმართ დებიტორული დავალიანება წარმოქმნილია ძირითადად მძიმე ტექნიკის მიწოდების შედეგად. აღნიშნული საწარმო ამავდროულად არის შპს B.P.TRANS-ის კრედიტორიც - ასრულებს სხვადასხვა სამუშაოებს. რადგან საწარმოს მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ფინანსური რესურსი შპს B.P.TRANS-ის ვალდებულების დასაფარად, მოთხოვნა გაუფასურებულია ამ საწარმოს მიმართ შპს B.P.TRANS-ის ვალდებულების ღირებულებამდე. აღნიშნული ვალდებულება ასახულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების როგორც გრძელვადიან ნაწილში (5%-იანი საგარანტიო დაკავებები), ასევე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მოკლევადიან ნაწილში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

8. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება:

	31.12.2022	31.12.2021
ნედლეული და მასალები	502,943	743,606
დაუმთავრებელი წარმოება	143,608	51,734
მზა პროდუქცია	347,443	1,935
სულ მარაგები	993,994	797,275

9. დაკავებული ფულადი სახსრები

დაკავებული ფულადი სახსრები წარმოადგენს ერთ-ერთ კომერციულ ბანკში არსებულ დამკვეთის მიერ ბლოკირებულ წინასწარ ჩარიცხულ თანხებს წლის ბოლოს მდგომარეობით.

აღნიშნული თანხები წარმოადგენს კომერციული ბანკიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფას სხვა ქონებასთან ერთად, რომელზეც შესაბამის განმარტებით შენიშვნებშია განმარტებული.

10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება:

	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,942,872	614,217
საკონტრაქტო აქტივები (შესრულების სტადიის მიხედვით დათვლილი შემოსავლის შედეგად)	1,030,452	565,854
5%-იანი საგარანტიო დაკავება დამკვეთის მიერ	2,867,577	2,687,839
სხვა მოთხოვნები	-	200,000
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	2,856	2,565
გაუფასურების ანარიცხები	(512,744)	(247,728)
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	5,331,013	3,822,747

საექვო მოთხოვნების რეზერვი 01 იანვარი 2020	-
წლის რეზერვის დარიცხვა	(247,728)
ჩამოწერა	-
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერი 2021	(247,728)
წლის რეზერვის დარიცხვა	(289,866)
ჩამოწერა	-
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	24,850
საექვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერი 2022	(512,744)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შეადგენს:

	31.12.2022	31.12.2021
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	1,303,945	22,093
ფული საბანკო ანგარიშზე (აშშ დოლარი)	67,709	735
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	-	855
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,371,654	23,683

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

კომპანიის სავაჭრო და სხვა რედიტორული დავალიანება შედგება:

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო ვალდებულება	3,036,448	1,530,307
გადასახდელი ხელფასები	7,716	17,272
გადასახდელი საპენსიო	170,136	133,406
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,680,985	1,680,985

გრძელვადიან სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში 2022 წლის 31 დეკემბერს წარდგენილი ნაშთი 1,016,092 (2021 - 475,169) ლარის ოდენობით წარმოადგენს მიღებულ შესრულებებზე დაკავებულ საგარანტიო თანხას, მთლიანად მიღებული მომსახურების 5 %-ს, რომლის გადახდის ვადებია ანგარიშგების თარიღიდან 1 წელზე მეტი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

13. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები შედგება:

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგომად:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,831,755
სესხის მიღება	3,356,489
დარიცხული პროცენტი	352,328
სესხების დაფარვა	(4,288,204)
გადახდილი პროცენტი	(365,297)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	(322,076)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,564,995

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდგენიარად:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	918,145
სესხის მიღება	4,254,437
დარიცხული პროცენტი	86,564
სესხების დაფარვა	(1,346,152)
გადახდილი პროცენტი	(42,887)
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა	(38,352)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,831,755

14. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს ყველა გადასახადის ნეტო შედეგს წლის ბოლოსთვის და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

15. სალიზინგო ვალდებულება

	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
ლიზინგის მიღება	-	1,762,123	1,762,123
დარიცხული პროცენტი	95,343	-	95,343
ძირის დაფარვა	(1,633,515)	(43,520)	(1,677,035)
გადახდილი პროცენტი და ჯარიმა	(95,343)	-	(95,343)
ჯარიმა	7,327	-	7,327
რეკლასიფიკაცია	1,723,096	(1,723,096)	-
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა	(1,042)	4,493	3,451
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	95,866	-	95,866

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	467,477	467,477
ლიზინგის მიღება	137,256	2,064,976	2,202,232
დარიცხული პროცენტი	111,990	17,893	129,883
ძირის დაფარვა	(2,630,902)	(34,314)	(2,665,216)
გადახდილი პროცენტი და ჯარიმა	(134,426)	-	(134,426)
ჯარიმა	22,436	2,703	25,139
რეკლასიფიკაცია	2,506,337	(2,506,337)	-
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა	(12,691)	(12,398)	(25,089)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

16. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება:

	2022	2021
საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი	45,135,545	33,159,271
ტექნიკების იჯარით მიღებული შემოსავალი	747,316	246,819
საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	833,987	657,021
სხვა მომსახურებით მიღებული შემოსავალი	-	185,593
	46,716,848	34,248,703

17. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება შედგება:

	2022	2021
მასალა	6,658,734	11,228,635
ქვეკონტრაქტორის მომსახურება	11,287,004	3,509,685
ხელფასი	3,088,825	3,876,429
ცვეთა	791,662	774,899
საწვავი	4,379,571	2,348,985
ტექნიკის შეკეთების ხარჯი	2,472,692	1,374,479
იჯარის ხარჯი	2,936,699	1,114,811
დაზღვევის ხარჯი	170,745	128,512
ტრანსპორტირების ხარჯი	410,446	253,041
სხვა ხარჯები	235,904	673
	32,432,282	24,610,149

18. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	2,934,957	538,999
ცვეთა და ამორტიზაცია	807,891	81,996
დებიტორების გაუფასურება	265,016	247,728
საკონსულტაციო ხარჯი	175,353	115,868
საგადასახადო ხარჯი	193,275	5,138
კომუნიკაციის ხარჯი	72,950	43,742
მივლინების ხარჯი	42,322	36,517
უსაბუთო ხარჯები	2,567,468	1,852,667
იჯარის ხარჯი	595,423	35,520
სხვა ხარჯი	200,988	90,865
	7,855,643	3,049,040

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი შედგება:

	2022	2021
სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალი	123,246	99,533
იჯარით მიღებული შემოსავალი	89,412	102,943
ქველმოქმედება და საჩუქრები	(145,969)	(161,641)
სხვადასხვა ჯარიმები	(38,521)	(75,781)
ნაშთების გასწორება და სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(8,196)	(37,684)
კონვერტაციის ხარჯი (შემოსავალი)	(38,752)	17,105
სხვა	9,258	-
	(9,522)	(55,525)

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მის წინააღმდეგ სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან,

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები მოცემულია ქვემოთ:

2022

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დამფუძ- ნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვა ნელობა	სულ
აქტივები				
გაცემული სესხები	-	56,227	-	56,227

2021

გაცემული სესხები	-	308,238	-	308,238
------------------	---	---------	---	---------

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ:

2022

სრული შემოსავლების ანგარიშგება	დამფუძ- ნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანე ლობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული				
ამონაგები	-	-	-	-
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	-	-	-	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა				
სარგებელი	1,027,935	-	149,254	1,177,188
საიჯარო შემოსავალი	-	-	-	-
საიჯარო ხარჯი	45,000	-	-	45,000

2021

სრული შემოსავლების ანგარიშგება	დამფუძ- ნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვა- ნელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული				
ამონაგები	-	19,966	-	19,966
ძირითადი საშუალების				
რეალიზაცია	42,000	-	-	42,000
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	-	384,760	384,760
ფინანსური შემოსავალი	-	1,717	-	1,717
საიჯარო შემოსავალი	99,343	-	-	99,343
საიჯარო ხარჯი	43,750	8,747	-	52,497

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

აღებული და დაფარული სასესხო ვალდებულებები

ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე შპს B.P. TRANS-ს მიღებული აქვს დამატებით 6,814,575 ლარის სასესხო ვალდებულება ადგილობრივი კომერციული ბანკიდან, საიდანაც დაფარა 5,217,874 ლარის სასესხო ვალდებულება.

შესყიდული მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებები

ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე შპს B.P. TRANS-ს შეძენილი აქვს 3,199,332 ლარის ღირებულების სამშენებლო ტექნიკა და მანქანა-დანადგარები.

დივიდენდის გაცემა

ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე შპს B.P. TRANS-ს გამოცხადებული და გაცემული აქვს 1,938,404 ლარის დივიდენდი.

საინვესტიციო ქონება

კომპანიის მიერ ანგარიშგების გამოცემამდე მოხდა 1,889,031 თვითღირებულების საინვესტიციო ქონების გასხვისება (საკონტრაქტო ღირებულება 2,180,069 ლარი).

23. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს B.P. TRANS-ის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგებები დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 26 ოქტომბერს.

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

1. მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები
3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები
4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა
5. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებს და რაც ყველაზე მთავარია, კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „B.P. Trans“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზებისა და ხიდების კაპიტალური მშენებლობა, შეკეთება და რეკონსტრუქცია და ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. კომპანიის საქმიანობა ასევე მოიცავს უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფას, სხვადასხვა სამშენებლო კონსტრუქციების თუ ინერტული მასალების დამზადება-მოპოვებას და მის საბითუმო და საცალო რეალიზაციას.

კომპანია განსაკუთრებული ყურადღებას ამახვილებს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, რაშიც კომპანია აქტიურად არის ჩაბმული და თანდათანობით ანხორციელებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას და გაზრდას.

შპს „B.P. Trans“-ის 100% წილის მფლობელია ბიჭიკო პაიკიძე (01004006857) ხოლო დირექტორი და წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია კომპანიის დირექტორი ვალერიანე კვარაცხელია, 01006016579.

კომპანია ბოლო წლების მანძილზე სტაბილურად იზრდება, რაც ხელმძღვანელობის სწორი სტრატეგიული და ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგია. კომპანია ფინანსდება საკუთარი და მოზიდული დაფინანსების წყაროებით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით საქართველოს სამშენებლო სექტორის პოტენციალი მზარდია და მომავალშიც აპირებს აღნიშნულ სფეროში აქტივობების განხორციელებას. შესაბამისად, კომპანია გეგმავს მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და სამოქმედო არეალის გაზრდას. ამჟამად, კომპანიის ძირითად სამოქმედო სეგმენტს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს რეგიონები.

დასაქმებულების რაოდენობა კომპანიაში ცვალებადია. 2022 წლის მონაცემებით კომპანიას ჰყავდა 16 მუდმივი და 144 დროებით დასაქმებული ადამიანი. დასაქმებულთა რაოდენობა ცვალებადია ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე.

იმის გამო, რომ არ არსებობს საშუალო ინდუსტრიული მონაცემები, არც დასაქმების და არც ფინანსური კოეფიციენტების მიმართულებით, ზუსტად კომპანიის პოზიციონირება გართულებულია.

კომპანია თანამშრომლობს, როგორც სახელწიფო ასევე კერძო დამკვეთებთან. ის ასრულებს საავტომობილო გზების და ადგილობრივი მუნიციპალური ერთეულების ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

კომპანიის მთავარი ამოცანაა, პროექტების რაოდენობის ზრდის საშუალებით, გაზარდოს საქმიანობის მასშტაბები. ამავდროულად, შეინარჩუნოს მომსახურების მაღალი ხარისხი, მიწოდების ვადების დაცვითა და რესურსების ეფექტიანი მოხმარებით.

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

კომპანიის შემოსავლების ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობაზე. ზოგადად რეგიონებში გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია, რაც ადგილობრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას ზრდის

კომპანია ერთნაირი პასუხისმგებლობით უდგება შესასრულებელ სამუშაოს იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო დაკვეთა. მისთვის მნიშვნელოვანია ხარისხი. ამიტომაც ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს წარმოების გაუმჯობესებას. მანქანა-დანადგარების გამართული და ეფექტური მუშაობა პირდაპირ პროპორციულ გავლენას ახდენს სამუშაოების შესრულების დროსა და ხარისხზე.

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა რელევანტურად მიიჩნევს საქმიანობის შედეგების შემდეგი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების განხილვას.

წმინდა მოგება

2022	6,062,581
2021	6,107,479

საოპერაციო შემოსავალი

2022	46,716,848
2021	34,248,703

უკუგება საშუალო კაპიტალზე

2022	31%
2021	42%

უკუგება საშუალო აქტივებზე

2022	6%
2021	8%

მთლიანი აქტივები

2022	27,579,758
2021	21,620,345

ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE): მეწილეების 2022 და 2021 წლის კუთვნილი მოგება შეფარდებული კაპიტალის 2022-2021 წლების და 2021-2020 წლების საშუალო მაჩვენებელზე. ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს რამდენი მოგება მოაქვს ერთი ერთეულის კაპიტალს წლის განმავლობაში.

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA): 2022-2021 წლების წმინდა მოგება შეფარდებული 2022-2021 და 2021-2020 წლების მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენი მოგება (გამოსახული პროცენტებით) მოაქვს ერთი ერთეულის აქტივს წლის განმავლობაში.

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ადმინისტრაციულ ხარჯვით ნაწილში ყველაზე დიდი ხარჯი შრომის ანაზღაურების და უსაბუთო ხარჯებია. ფაქტობრივად, ადმინისტრაციული ხარჯვითი ნაწილის 37%-ს ხელფასები. მომავალში აღნიშნული ტენდენცია დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობის მიმდინარეობაზე, მის საკრედიტო პოლიტიკასა და განხორციელებულ პროექტებზე.

კომპანიას 2022 და 2021 წლებში შემოსავალი მიღებული აქვს, როგორც სამშენებლო კონტრაქტებიდან ასევე სხვა მომსახურებიდან (ტექნიკის იჯარა). სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები 2022 წელს მთლიანი შემოსავლების 97%-ს შეადგენს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ კომპანია ორიენტირებულია საგზაო სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე არასტაბილურობა - ლარის გაცვლითი კურსის უარყოფითმა ცვლილებამ უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.
- საოპერაციო რისკები - კომპანიის საოპერაციო რისკები მდგომარეობს ბაზრის მოთხოვნების შესრულებაში იმ ხარისხით, რომელსაც კომპანია პირდება თავის კონტრაქტორებსა და მომხმარებლებს. კომპანია მაქსიმალურად ორიენტირებულია შესრულებული სამუშაოს მაღალ ხარისხზე, რათა კომპანიას არ შეექმნას პრობლემები რეპუტაციასთან და შემდგომ ოპერირებასთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკები

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო სექტორთან და შესაბამისად სამშენებლო რისკებთან. თუმცა კომპანია რეგულარულად ახდენს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, რის შედეგადაც იქმნება კონტროლის მექანიზმები

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანია ძირითადად მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში და ახორციელებს გრძელვადიან პროექტებს. სახელმწიფო ტენდერებში კონტრაქტის ფასი განსზღვრულია ეროვნულ ვალუტაში და ძირითადი მასალების ღირებულება, რომელიც კომპანიას ესაჭიროება პროექტის განსახორციელებლად, დამოკიდებულია ლარის კურსზე. შესაბამისად, კომპანია დგება სავალუტო რისკის წინაშე.

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ასევე კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც სამუშაო პროცესის შეფერხებას იწვევს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია. კომპანია შემოსავლებს იღებს როგორც კერძო დამკვეთებისგან, ასევე აქტიურად იღებს მონაწილეობას სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ სატენდერო შესყიდვებშიც. კომპანია მომავალშიც აპირებს აქტიურად ჩაერთოს ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებში და შეინარჩუნოს წამყვანი პოზიციები თავის რეგიონში.

პროექტების ზრდის პარალელურად კომპანია ცდილობს მოახდინოს საკუთარი რესურსების (საჭირო სპეც ტექნიკის, და ა.შ) მუდმივი განახლება, რათა ნაკლები დანახარჯებით მოახდინოს მაქსიმალური მოგების მიღება მომავალში და ამასთანავე შეინარჩუნოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება;
- მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების განახლება;

5. სხვა ინფორმაცია

სუბიექტისთვის საკუთარი აქციების შეძენა არარელევანტური საკითხია. მას ფილიალები არ გააჩნია. კვლებები არ უწარმოებია.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 31 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ვ. კვარაცხელია

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

ასევე კომპანიის საქმიანობაში მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც სამუშაო პროცესის შეფერხებას იწვევს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.

4. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია. კომპანია შემოსავლებს იღებს როგორც კერძო დამკვეთებისგან, ასევე აქტიურად იღებს მონაწილეობას სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ სატენდერო შესყიდვებშიც. კომპანია მომავალშიც აპირებს აქტიურად ჩაერთოს ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებში და შეინარჩუნოს წამყვანი პოზიციები თავის რეგიონში.

პროექტების ზრდის პარალელურად კომპანია ცდილობს მოახდინოს საკუთარი რესურსების (საჭირო სპეც ტექნიკის, და ა.შ) მუდმივი განახლება, რათა ნაკლები დანახარჯებით მოახდინოს მაქსიმალური მოგების მიღება მომავალში და ამასთანავე შეინარჩუნოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება;
- მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების განახლება;

5. სხვა ინფორმაცია

სუბიექტისთვის საკუთარი აქციების შეძენა არარელევანტური საკითხია. მას ფილიალები არ გააჩნია. კვლებები არ უწარმოებია.

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2023 წლის 31 ოქტომბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ვ. კვარაცხელია